წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 12

ქ. წალკა; 10.05.2023 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ ვანაძე, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზვიად გელაძე, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:35 საათზე;

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. განკარგულების პროექტი "საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წალკის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის განაწილების შესახებ".

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია მის მიერ ინიცირებული დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ"

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად დაიწყოს დადგენილების პროექტის განხილვის პროცედურები. დაევალოთ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებს, საკრებულოს ფრაქციებს და წალკის მუნიციპალიტეტის მერიას განიხილონ აღნიშნული დადგენილების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 24 მაისის საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები. აღნიშნულ დადგენილების პროექტის განმხილველ ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია განკარგულების პროექტი "საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წალკის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის განაწილების შესახებ". ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად დაიწყოს განკარგულების პროექტის განხილვის პროცედურები. დაევალოთ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას და ფრაქციებს სხდომებზე განიხილონ აღნიშნული განკარგულების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 24 მაისის საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი*